საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო
სსიპ "ველური ბუნების
ეროვნული სააგენტო"

MINISTRY OF ENVIRONMENT
PROTECTION AND
AGRICULTURE OF GEORGIA
LEPL "WILDLIFE NATIONAL
AGENCY"

N 1/144
17/06/2022

144-1-2-202206171439

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს

ასლი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

,,გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს"

გაცნობებთ, რომ ხშირი წვიმების გამო მომატებულმა სიმღვრივემ, სსიპ „ველური ბუნების საგენტო"-ს ნაკადულის კალმახის ეროვნულ საშენში გამოიწვია წყაროების უცაბედი, ზენორმატიული ამღვრევა. აღნიშნულმა ზემოქმედებამ გამოიწვია ლიფსიტების ნაწილის მნიშვნელოვანი რაოდენობის დახოცვა. აღსანიშნავია, რომ ნაკადულის კალმახი, განსაკუთრებით კი ლიფსიტები საკმაოდ სენსიტიურად რეაგირებენ გარემო-ფაქტორების მიმართ. მომატებული სიმღვრივე საყურადღებოა, რადგან ლაყუჩების რკალებზე არსებული ფოთოლაკები იბიდნება და იწვევს თევზის მასიურ დახოცვას ან/და დაავადებას. არსებული ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო, სსიპ - ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტო" 2022 წელს ვერ შეასრულებს დათევზიანების მომსახურებას.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სსიპ - ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტო" იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების საფუძველზე 2023 წელს განახორციელოს ორმაგი რაოდენობით დათევზიანება.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოში წამყვანი იქთიოლოგების დასკვნის საფუველზე დადგინდა, რომ დათევზიანების საუკეთესო მეთოდს თვალების სტადიაზე არსებული ქვირითი წარმოადგენს. შესაბამისად, 2023 წელს სააგენტოს სპეციალისტები განახორციელებენ ნაკადულის კალმახის 52 000 ცალი ქვირითით (თვალების სტადიაზე) დათევზიანებას. აღსანიშნავია, რომ დასათევზიანებელი ნაკადულის კალმახის 30%-ით მატება არ გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულების ცვლილებას.

ვინაიდან საქართველოში წამყვანი იქთიოლოგების მიერ დათევზიანებისთვის საუკეთესო მეთოდად დადგენილი იქნა ქვირითი - „თვალების სტადიაზე". აღნიშნული მეთოდით მუშაობის პრინციპი ეფუძნება მინიმალური ანთროპოგენული ჩარევით, ნაკადულის კალმახის ინდივიდების ველურ ბუნებაში გამოჩეკვას. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს დათევზიანების ღონისძიების სწორ ჰაბიტატებში - ნაკადულის კალმახის საქვირითე მონაკვეთებში განხორციელება.

შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არსებული მდგომარეობის შესახებ ეცნობება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ,,გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს“.

დანართი - დინგნიჩაბას Polyodon spathula (Walbaum, 1792)-ს, როგორც უცხო სახეობის საქართველოში შემოყვანისა და ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითის თვალების სტადიაზე დათევზიანების თაობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N 2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს ონლაინ შეხვედრის ოქმი.

რევაზ ბეჟაშვილი

უფროსი

სსიპ "ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"